

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია**1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი**სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე / SIPCAMOL E

პრეპარატის სახე: ზეთი-წყალში ემულსია (ზე)

საქონლის ნომერი: არ გამოიყენება

გამოყენება: ინსექტიციდი

REACH რეგისტრაციის ნომერი არ გამოიყენება

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდირებული შეზღუდვები

მიზნობრივი გამოყენება: სოფლის მეურნეობა

ნივთიერების / ნარევის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებები

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი / მომწოდებელი:

“სიპკამ ოქსონი ს.პ.ა.”. მილანი – იტალია.

SIPCAM OXON S.p.A.

- რეგისტრირებული მისამართი: Via Carroccio, 8 - 20123 Milano - Italy

წარმოების ადგილი: Via Vittorio Veneto, 81 - 26857 Salerano sul Lambro (LO) - Italy

ტელ.: +39 0371 5961

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი: + 39 0371 5961 (24სთ)

ამ ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ: msds@sipcam.com

ტოქსიკოლოგიური ცენტრების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე -16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 2: საფრთხეთა იდენტიფიკაცია**2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია****2.1.1. კლასიფიკაცია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად**

პროდუქტი არ კლასიფიცირდება CLP (კლასიფიკაცია, ეტიკეტირება და შეფუთვა) რეგულაციის შესაბამისად.

2.2 ეტიკეტის ელემენტები:

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად ცარიელი

საშიშროების პიქტოგრამები ცარიელი

სასიგნალო სიტყვა ცარიელი

საშიშროების შესახებ განცხადებები ცარიელი

დამატებითი ინფორმაცია:

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

შეინახეთ ზავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

2.3. სხვა რისკები**PBT და vPvB შეფასების შედეგები**

PBT: არ ექვემდებარება შეფასებას.

vPvB: არ ექვემდებარება შეფასებას.

გამოცემა: 28.01.2021



განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე
პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ
3.2 ქიმიური დახასიათება: ნარევები

აღწერა: ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების ნარევი უსაფრთხო დანამატებით:

საშიში კომპონენტები:

N° CAS	სახელწოდება	R-ფრაზები	%
CAS: 97862-82-3 EC ნომერი: 308-132-3	ნახშირწყალბადები, C17-30, ჰიდროგაწმენდით მიღებული დისტილატები, გამოხდის მსუბუქი ფრაქციები – მითითება L		80.0%
	 ასპ. ტოქ. 1, H304		
CAS: 61827-42-7	ეთოქსილირებული იზოდეცილის სპირტი		0.5-10.0%
	 თვალის დაზ. 1, H318; წყლისათვის ქრონიკული 3, H412		

დამატებითი ინფორმაცია: საშიშროების შესახებ მითითებული ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები
4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა
ზოგადი ინფორმაცია:

დაუყოვნებლივ გაიხადეთ პრეპარატით დაბინძურებული სპეცტანსაცმელი.

მოწამვლის სიმპტომები შეიძლება რამდენიმე საათის შემდეგაც კი გამოვლინდეს; ამიტომ მიზანშეწონილია სამედიცინო დაკვირვება შემთხვევიდან მინიმუმ 48 საათის განმავლობაში.

ჩასუნთქვის შემდეგ

გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, ამყოფეთ მოსვენებულ მდგომარეობაში და სითბოში.

გონების დაკარგვის შემთხვევაში დაზარალებული მოათავსეთ ტრანსპორტირებისთვის სტაბილურ-გვერდულ მდგომარეობაში.

კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ საპნითა და წყლით და ჩამოირეცხეთ საფუძვლიანად.

თვალში მოხვედრისას გახელილი თვალი გამოირეცხეთ გამდინარე წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. შემდეგ მიმართეთ ექიმს.

გადაყლაპვის შემდეგ

ასპირაციის საშიშროება! არ გამოიწვიოთ ღებინება. მკურნალობისთვის მიმართეთ ექიმს.

ინფორმაცია ექიმებისთვის ინტოქსიკაციის შემთხვევაში გადაუდებელი მკურნალობისთვის სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

ფილტვის მძიმე დაზიანების რისკი გადაყლაპვისას. სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა 48 საათის განმავლობაში.

ხანგრძლივმა და განმეორებითმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს:

სასუნთქი გზების გაღიზიანება.

ლორწოვანი გარსისა და კანის გაღიზიანება.

კუჭ-ნაწლავის პრობლემები.

გაბრუება.

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე**4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება**
სამედიცინო მეთვალყურეობა მინიმუმ 48 საათის განმავლობაში.
სიმპტომატური და მხარდამჭერი მკურნალობა.**პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები****5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები**

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები ცეცხლის ჩამქრობი ფხვნილი A/B/C, წყლის ნისლი, CO₂, ქაფი, ქვიშა.
უსაფრთხოების მიზნით, ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები არ გამოიყენოთ წყლის ძლიერი ჭავლი.

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

ხანძრის შემთხვევაში შეიძლება გამოთავისუფლდეს:

ნახშირბადის მონოოქსიდი (CO)

ალდეჰიდები

ხანძრის გარკვეულ პირობებში, არ შეიძლება გამოირიცხოს სხვა ტოქსიკური აირების კვალიც.

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის**დამცავი საშუალებები:**

არ შეისუნთქოთ ფეთქებადი და აალებადი აირები.

გაიკეთეთ ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობა/რესპირატორი

ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი.

დამატებითი ინფორმაცია საფრთხეში მყოფი კონტეინერები გააგრძელეთ წყლის ჭავლით.

პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს**6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები**

შეინახეთ აალების წყაროებისგან მოშორებით.

უზრუნველყავით სათანადო განიავება.

წყალთან შერევისას პრეპარატი წარმოქმნის სრიალა ზედაპირს.

ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმელი.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

უზრუნველყავით დაბინძურებული ნარევი წყალის სათანადო გაუვნებლობა.

არ დაუშვათ მიწაში/ნიადაგში შეღწევა.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

გამოიყენეთ სითხის დამჭერი/შემკვრელი მასალა (ქვიშა, დიატომიტი, მჟავა შემკვრელები, უნივერსალური შემკვრელები, ნახერხი).

მოგროვებული მასალის უტილიზაცია განახორციელეთ არსებული რეგულაციების შესაბამისად.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

უსაფრთხო გამოყენების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-7 პარაგრაფში.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში.

განკარგვის /უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე**პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა****7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს**

თავიდან აიცილეთ აეროზოლების წარმოქმნა.
გამოიყენეთ მხოლოდ კარგად განიავებად სივრცეებში.
გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE).
ობიექტზე სავალდებულოა გამწოვი მოწყობილობა.
თავიდან აიცილეთ კანზე და თვალებში მოხვედრა.
შეინახეთ მშრალ, გრილ ადგილზე, ჰერმეტიკულად თავდახურულ ტარაში.

ხანძარსა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები

შეინახეთ აალების წყაროებისგან მოშორებით – მოწვეა აკრძალულია.
დაიცავით ელექტროსტატიკური მუხტის დაგროვებისგან.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შენახვა: შეინახეთ გრილ და კარგად განიავებად ადგილზე, სითბოს წყაროებისა და მზის პირდაპირი სხივებისგან მოშორებით, ღია სავანალიზაციო სისტემის გარეშე.

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

შეინახეთ მხოლოდ ქარხნულ შეფუთვაში.
კონტეინერებისა და მილსადენის სათანადო მასალა: ფოლადი ან უჟანგავი ფოლადი.
ინფორმაცია ერთ საერთო საწყობე შენახვის შესახებ: არ დაუშვათ შეუთავსებელ მასალებთან ერთად შენახვა (იხ. თავი 10).
დამატებითი ინფორმაცია შენახვის პირობების შესახებ:
დაიცავით ყინვისგან.
დაიცავით სითბოსა და მზის პირდაპირი სხივებისგან.

7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

სოფლის მეურნეობა
გამოიყენება მხოლოდ ეტიკეტზე მითითებული დანიშნულებით.

პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება**8.1. კონტროლის პარამეტრები**

დამატებითი ინფორმაცია ტექნიკური სისტემების დიზაინის შესახებ: უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით შენობაში მუშაობის დროს.

დადგენილი ზღვრული მნიშვნელობების მქონე კომპონენტები, რომლებიც სამუშაო ადგილზე მონიტორინგს საჭიროებს:

პროდუქტი არ შეიცავს კრიტიკული მნიშვნელობების მქონე ნივთიერებების არსებით რაოდენობას, რომელთა კონტროლიც უნდა განხორციელდეს სამუშაო ადგილზე.

DNELs დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

PNECs დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

დამატებითი ინფორმაცია: საფუძვლად გამოყენებული იქნა შედგენის დროს მოქმედი სიები.

8.2. ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ზოგადი უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ზომები

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე

დაიცავით ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი წესები.

მოარიდეთ პრეპარატი კანზე და თვალებთან შეხება.

შესვენებების დროს და პრეპარატის მოხმარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები.

პრეპარატთან მუშაობის დროს აკრძალულია ჭამა, წყლის დალივით ან თამბაქოს მოწევა.

შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან მოშორებით.

სასუნთქი აპარატურა/რესპირატორი

ხანმოკლე ექსპოზიციის ან მცირე დაბინძურების შემთხვევაში გამოიყენეთ ფილტრიანი რესპირატორი. ინტენსიური ან ხანგრძლივი ექსპოზიციის დროს გამოიყენეთ მოცირკულირე ჰაერისაგან დამოუკიდებელი სასუნთქი მოწყობილობა.

რეკომენდებული ფილტრი მოკლევადიანი გამოყენებისათვის: კომბინირებული ფილტრი A-P2

ხელების დაცვა: დამცავი ხელთათმანი (რეზინის ან პოლიმერული მასალის).

ხელთათმნის მასალა:

ნიტრილის რეზინი, ბუტადიენ-ნიტრილური კაუჩუკი (NBR)

მასალის რეკომენდებული სისქე: 0,45 მმ

ფტორელასტომერი (Viton)

თვალის დაცვა:



მჭიდროდ ფიქსირებადი დამცავი სათვალეები, რომელიც შეესაბამება EN 166 სტანდარტს

სხეულის დაცვა: სამუშაო დამცავი სპეცტანსაცმელი.

ჩექმები დამცავი ფეხსაცმელი პროფესიონალური გამოყენებისათვის, რომელიც შეესაბამება EN 345 სტანდარტს.

პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

ზოგადი ინფორმაცია

გარეგანი სახე:

ფორმა:	ემულსია
ფერი:	მოთეთრო
სუნი:	დამახასიათებელი

pH-ის მნიშვნელობა 20 °C-ზე: 9

მდგომარეობის შეცვლა

დუღილის საწყისი ტემპერატურა და

დუღილის დიაპაზონი: > 250 °C

აალების ტემპერატურა: > 100 °C

თვითაალებადობა პროდუქტი არ არის თვითაალებადი

სიმკვრივე 20 °C-ზე: 0.890 გ/სმ³

წყალში ხსნადობა/შერევადობა: ემულსირებადი

სიბლანტე:

დინამიკური 20 °C-ზე: 2355 სანტი პუაზონი – cP (60 RPM)

გამხსნელის შემცველობა:

წყალი: დაახლოებით 15-20 %

9.2. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე

პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა რეკომენდებულ პირობებში გამოყენებისას პროდუქტი არ არის რეაქციული.

10.2. ქიმიური მდგრადობა სტაბილურია გამოყენებისა და შენახვის რეკომენდებული პირობების დროს (იხილეთ მე-7 პარაგრაფი).

თერმული დაშლა / ასარიდებელი გარემოებები: არ იშლება, თუ გამოიყენება და ინახება სპეციფიკაციების შესაბამისად.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა საშიში რეაქციები არ არის ცნობილი.

10.4. ასარიდებელი გარემოებები

მოარიდეთ აალების წყაროებს.

მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას.

10.5. შეუთავსებელი მასალები

დამჟანგავები

ძლიერი ფუძეები.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები სტანდარტული შენახვის პირობებში არც ერთი.

პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე ტოქსიკურობა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

LD/LC50 მნიშვნელობები, რომლებიც მნიშვნელოვანია კლასიფიკაციისთვის:

CAS: 97862-82-3 ნახშირწყალბადები, C17-30, ჰიდროგაწმენდით მიღებული დისტილატები, გამოხდის მსუბუქი ფრაქციები – მითითება L

პერორალური	LD50	> 2000 მგ/კგ (ვირთაგვა)
დერმალური	LD50	> 2000 მგ/კგ (ვირთაგვა)
ინჰალაციური	LD50 (4სთ)	> 5105 მგ/ლ (ვირთაგვა)

ძირითადი გამაღიზიანებელი ეფექტი:

კანის კოროზია / გაღიზიანება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

თვალის დაზიანება/გაღიზიანება: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

დამატებითი ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია:

მწვავე ეფექტები (მწვავე ტოქსიკურობა, გაღიზიანება და კოროზიულობა) მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

CMR ეფექტები (კანცეროგენულობა, მუტაგენურობა და რეპროდუქციული ტოქსიკურობა)

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

კანცეროგენული მოქმედება: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

STOT- ერთჯერადი ექსპოზიცია არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე

STOT- განმეორებითი ექსპოზიცია არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.
ასპირაციის საშიშროება: არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეესაბამება კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

12: ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

მწვავე ტოქსიკურობა:

CAS: 97862-82-3 ნახშირწყალბადები, C17-30, ჰიდროგაწმენდით მიღებული დისტილატები, გამოხდის მსუბუქი ფრაქციები – მითითება L

LC50 (96სთ)	> 100 მგ/ლ (ცისარტყელა კამახი (<i>oncorhynchus mykiss</i>))
EC50 (48სთ)	> 100 მგ/ლ (წყლის რწყილი <i>Daphnia magna</i>)
EbC50 (72სთ)	> 100 მგ/ლ (წყალმცენარეები <i>Pseudokirchneriella subcapitata</i>)

გარემოს მიმართ ტოქსიკურობა

CAS: 97862-82-3 ნახშირწყალბადები, C17-30, ჰიდროგაწმენდით მიღებული დისტილატები, გამოხდის მსუბუქი ფრაქციები – მითითება L

პერორალური	LD 50	> 104.4 მკგ/ფუტკარზე (ფუტკარი (<i>Apis mellifera</i>))
დერმალური	LD 50	> 100 მკგ/ფუტკარზე (ფუტკარი (<i>Apis mellifera</i>))

12.2 მდგრადობა და დეგრადაცია მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.4. მიგრაცია /მოხილურობა წიაღაგში მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაცია:

ზოგადი მითითებები: არ დაუშვით გაუზავებელი ან დიდი რაოდენობის პრეპარატის მიწისქვეშა წყლებში, წყალსატევებში ან კანალიზაციის სისტემებში შეღწევა/მოხვედრა.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

PBT: არცერთი ინგრედიენტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

vPvB: არცერთი ინგრედიენტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

12.6. სხვა მავნე ეფექტები მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

პარაგრაფი 13: განკარგვა/უტილიზაცია

13.1 ნარჩენების დამუშავების მეთოდები რეკომენდაცია



ნარჩენები უნდა დამუშავდეს ოფიციალური რეგულაციების მკაცრი დაცვით.

დაბინძურებული ტარა:

რეკომენდაცია: უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად.

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე
პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

14.1. UN ნომერი ADR/RID/ADN, ADN, IMDG, IATA	ბათილი
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი ADR/RID/ADN, ADN, IMDG, IATA	ბათილი
14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას ADR/RID/ADN, ADN, IMDG, IATA	კლასი ბათილი
14.4. შეფუთვის ჯგუფი ADR/RID/ADN, ADN, IMDG, IATA	ბათილი
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ზღვის დამაზინებელი:	არ არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის	არ გამოიყენება
14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL მე-II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად	არ გამოიყენება
გაეროს „მოდელის რეგულაცია“:	ბათილი

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია

- 15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
- 15.2. ქიმიური უსაფრთხოების შეფასება: ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ განხორციელებულა.

პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია

ეს მონაცემები ეყრდნობა ჩვენს ამჟამინდელ ცოდნას. მიუხედავად ამისა, ის ვერ იქნება პროდუქტის რაიმე სპეციფიკური მახასიათებლების გარანტია და ვერ უზრუნველყოფს იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოებში დამოკიდებულებას.

საგანგებო ვითარების შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ ტოქსიკოლოგიურ ცენტრს, გლობალური ჯანმრთელობის ობსერვატორიის მონაცემების მეშვეობით

http://www.who.int/gho/phe/chemical_safety/poisons_centres/en/

ევროპული ტოქსიკოლოგიური ცენტრების სია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/growth/sectors/chemicals/poison-centres/index_en.htm

მონაცემთა სპეციფიკაციის ფურცლის გამომცემი დეპარტამენტი: პროდუქციის უსაფრთხოების განყოფილება.
კონტაქტი:

გამოცემა: 28.01.2021

განახ. n°: 2

განახლების თარიღი: 28.01.2021

სავაჭრო დასახელება: სიპკამოლი ე

პროდუქციის უსაფრთხოების განყოფილება
“სიპკამ ოქსონი“ - სალერანოს საწარმო (SIPCAM OXON - Salerano Plant)
ტელ.: +39 03715961

კომპონენტების H განცხადებები:

- H304 შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას.
H318 იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H412 მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის გეძელვადიანი შედეგებით.

აბრევიატურები და აკრონიმები

- EC50: 50%-იანი ეფექტური კონცენტრაცია
ADR: ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ
IMDG: სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საზღვაო კოდექსი
IATA: საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია
GHS: ქიმიური ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა
EINECS: არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული ნუსხა
ELINCS: რეგისტრირებული ქიმიური ნივთიერებების ევროპული სია
CAS: ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი (ამერიკის ქიმიური საზოგადოების განყოფილება)
DNEL: ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებელი/დადგენილი არაეფექტური დონე (REACH)
PNEC: მოსალოდნელი არაეფექტური კონცენტრაცია (REACH)
LC50: 50%-იანი სასიკვდილო კონცენტრაცია
LD50: 50%-იანი სასიკვდილო დოზა
PBT: მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
vPvB ; ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი
თვალის დაზ. 1: თვალის სერიოზული დაზიანება/თვალის გაღიზიანება – კატეგორია 1
ასპ. ტოქ. 1: ასპირაციის საშიშროება – კატეგორია 1
წყლისათვის ქრონიკული 3: მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გეძელვადიანი შედეგებით – კატეგორია 3

* მონაცემები შეიცვალა წინა ვერსიასთან შედარებით. 15.03.1995